## ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ბალანსზე რიცხული თბომავლების 2ТЭ10-0481 და 2ТЭ10-0482 ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარკში 1992 წლიდან ირიცხება თბომავლები 2ТЭ10-0481 და 2ТЭ10-0482, რომლებიც 2010 წლიდან არის გაჩერებული.

თბომავლის ექსპლუატაციისა და მომსახურეობის ინსტრუქციის მიხედვით მათ არ ჩატარებიათ არანაირი სადეპოო შეკეთება. ჯერ კიდევ გაჩერებამდე კოროზირებული იყო დიზელის გაგრილების წყლის სისტემის მილები და ჰქონდა წყლის დიდი რაოდენობის დანაკარგი. თბომავლების დიზელის ცხელ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, შესაძლოა წყლის სისტემის ნასოსების, გამაგრილებელი სექციისა და რეზინის შემამჭიდროებელი რგოლების უვარგისობის გამო წყლის გადატანა დიზელის ზეთის სისტემაში და ზეთის გაფუჭება, ელექტროაპარატურის, წევის ძრავებისა და ელექტრომანქანების, მთავარი გენერატორის დანესტიანება და სხვადასხვა სახის ხარვეზები. ზემოთ ჩამოთვლილი სისტემების შემოწმება ვერ ხერხდება თბომავლის ცივ მდგომარეობაში. ამასთანავე, ორ სექციაზე წყვილთვალები არ შეესაბამება საექსპლუატაციო ნორმებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპოს პირობებში შეუძლებელია თბომავლის მომზადება საექსპლუატაციოდ და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ,, შ.ლაბაძე

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილე შეკეთების დარგში ა.მხატვრიშვილი

ხაშურის სალოკომოტივო დეპოს თბომავლების საამქროს ოსტატი თ.თოფჩიაშვილი